

არასამთავრობო ორგანიზაციები ეკონომიკის მინისტრის გადადგომას მოითხოვენ

radiotavisupleba.ge/a/29894518.html

აპრილი 21, 2019



ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები საგანგებო განცხადებას ავრცელებენ პანკისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საპოლიციო ძალის გამოყენება პანკისის ხეობაში და გამოიყვანოს ხეობაში შეყვანილი დამატებითი ძალები და პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ძალაუფლების სავარაუდო გადაშეტების გამოძიების მიზნით.

ასევე - "დაუყოვნებლივ გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, რომელსაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტი აქვს ბიზნესინტერესებსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის და მისი დანიშნვიდან პირველივე დღეებში კრიზისი შექმნა პანკისის ხეობაში... საქართველოს პარლამენტი დაინტერესდეს აღნიშნული თემით და გამოიყენოს საზედამხედველო მექანიზმები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების დაცვისთვის".

რადიო თავისუფლება, RFE/RL, Inc. ყველა უფლება დაცულია

ფოტო და ვიდეო